



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI

2023

M RAVALTAVI

Philological and Historical
Researches

Published since 1971

29

ქართული
რეალთაუი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიგანი

გამოდის 1971 წლიდან

„მრავალთავის“ 29-ე ტომში წარმოდგენილია ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობით-ისტორიული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს, აგრეთვე, 2022 წლის ქრონიკა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ და ცენტრის მეცნიერ თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული კონფერენციების, სემინარების, გამოფენების, ექსპედიციამივლინებების შესახებ. მკითხველი ასევე გაეცნობა ინფორმაციას ცენტრის მიერ 2022 წელს გამოცემული წიგნების შესახებ.

სარედაქციო კოლეჯია

ნათია დუნდუა (პასუხისმგებელი მდივანი), დარეჯან კლდიაშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, მაია მაჭავარიანი, ნინო მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორი), თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე, დალი ჩიტუნაშვილი.

იოსტ გიპერტი (ჰამბურგის უნივერსიტეტი), ჰუბერტ კაუფჰოლდი (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი), ბერნარ კული (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი), ოლივერ რაისნერი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბერნარ უტიე (სამეცნიერო კვლევის ფრანგული ნაციონალური ცენტრი), თინათინ ქრონცი (მაინცის გუტენბერგის სახელობის უნივერსიტეტი), გაგა შურღაია (ნეაპოლის უნივერსიტეტი “L’Orientale”), ნინო ცხომელიძე (ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტი).

ტომის რედაქტორები: მაია მაჭავარიანი, დარეჯან კლდიაშვილი.

EDITORIAL BOARD

Dali Chitunashvili, Natia Dundua (executive secretary), Darejan Kldiashvili, Maia Matchavariani, Nino Melikishvili (editor-in-chief), Thamar Otkhmezuri, Maia Raphava, Mzia Surguladze, Apolon Tabuashvili.

Jost Gippert (Universität Hamburg), Hubert Kaufhold (Ludwig-Maximilians-Universität München), Bernard Coulie (Université Catholique de Louvain), Oliver Reisner (Iliia State University), Bernard Outtier (French National Centre for Scientific Research), Tinatin Chronz (Johannes Gutenberg-Universität Mainz), Gaga Shurghaia (University of Naples “L’Orientale”), Nino Zchomelidze (Johns Hopkins University).

Editors of the volume: Maia Matchavariani, Darejan Kldiashvili.

ISSN 0234-7385 („მრავალთავი“)

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2023

შინაარსი

ობარ ოთხმეზური	
ფიგურალური გამოთქმა – კანონი ილისტიკისა – ეგრემ მცირის თარგმანებში (არეოპაგიტული კორპუსი და გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა კრებული)	10
ნინო მელიქიშვილი	
წმ. ეფთვიმე ათონელის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს შესახებ	26
ემვთიმიე კოჭლამაზაშვილი	
ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი უცნობი თარგმანი	53
ნუზარ პაპუაშვილი	
ახალციხის მეჩეთი და მისი ბიბლიოთეკა პავლე სანკოვსკის სტატიის კვალდაკვალ	73
ლაშა ტყეშელაშვილი	
ევაგრე პონტოელის შრომათა ძველი ქართული თარგმანები (წინათონური) და მათ შორის ერთი უცნობი შეგონება „ცუდაღბუაობისათვის“	109
ოქრო ჯოჯო	
ძველი გაფაზის თავწმინდა გიორგის ეკლესიის 1026 წლის საღმშენებლო წარწერა კახეთ-პერეთის მეფეების – კვირიკე III დიდისა და საჰლას მოხსენიებით	128
ცისანა ბიბილაშვილი	
სახლი ბეთანიაში (ბარონ ალ. ნიკოლაის წერილების მიხედვით)	164
EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI	
A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging	175
WALKER R. THOMPSON	
Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion	205

მავდა მჟედლიძე

იოანე პეტრიწის ვრცელი ბიბლიოგრაფია 2021 წლამდე 233

ინფორმაცია

ქრონიკა 2022 257

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 2022 წლის გამოცემები 263

IN MEMORIAM

ზაზა ალექსიძის გახსენება 271

ეთერ ქავთარაძე (1937-2023) 279

CONTENTS

THAMAR OTKHMEZURI

- Figurative Expression – A Rule of Ilistiki – in the Collection of Gregory the Theologian’s Liturgical Sermons and the Corpus Areopagiticus Translated by Ephrem Mtsire 10

NINO MELIKISHVILI

- On the Greek Source of the Georgian Translation of the “Life of the Virgin Mary” by St. Euthymius the Hagiorite (based on the research of Michel Van Esbroeck and Christos Simelidis) 26

EKVTIME KOCHLAMAZASHVILI

- A Previously Unknown Translation by Euthymius the Hagiorite 53

NUGZAR PAPUASHVILI

- Akhaltsikhe Mosque and Its Library: Following Pavel Sankovski’s Article 73

LASHA TKEBUCHAVA

- Old-Georgian (Pre-Athonite) Translations of the Works of Evagrius Ponticus and Among Them One Unknown Admonition “De Vana Gloria” 109

TEMO JOJUA

- The 1026-year-old Construction Inscription of the Church of St. George of Old Gavazi, Mentioning the Kings of Kakheti-Hereti – Kvirike III the Great and Sahla 128

TSISANA BIBILEISHVILI

- The House in Bethania (Based on the Letters of Baron Al. Nikolai) 164

EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI

- A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging 175

WALKER R. THOMPSON

- Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion 205

MAGDA MCHEDLIDZE

- An Extensive Bibliography of Ioane Petritsi up to 2021 233

INFORMATION

- Chronicle – 2022 257
Publications of the National Center of Manuscripts – 2022 263

IN MEMORIAM

Remembering Zaza Aleksidze

271

Eter Kavtaradze (1937-2023)

279

ხელნაწერთა ძირითადი საცავები საქართველოში

შემოკლებები

პიპმ	სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
სცსპ	საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
სიპმ	სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
სპიმ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ქიპმ	ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ხმ	შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ხეც	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი)
ზიამ	ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
NCM	National Centre of Manuscripts

ლაშა ტყეშელაშვილი

ევანგელისტის პრობლემა ქველი ქართული თარგმანები (წინათმარა) და მათ შორის ერთი უცნობი შეგონება „ცუდადუქარისათვის“*

ევანგელისტის (345-399 წწ.), IV საუკუნეში მოღვაწე განდევნილი და ასკეტური მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კარგადაა ცნობილი ლიტერატურული მოღვაწეობით, თუმცა ორიგენისტული შეხედულებების გამო ევანგელისტის ორიგენისა და დიდიმესთან ერთად, V მსოფლიო საეკლესიო კრებამ (553 წ.) ანათემას გადასცა.¹ შედეგად, ეკლესიის მიერ ანათემირებული მონაზვნის შრომები ბერძნულ ენაზე ნაწილობრივ დაიკარგა. ევანგელისტის თხზულებათა ყველაზე ვრცელი კორპუსი X-XI საუკუნის ორი ათონური ხელნაწერთაა შემორჩენილი, ესენია: Protaton 26 (Athus 26, X-XI ს.) და Lavra Γ 93 (Athus 333, XI ს.). ორივე ათონური კრებული ევანგელისტისა და

* სტატიის მოზადებისას გაწეული დახმარებისა და რჩევებისთვის გულითად მადლობას ვუხდით ჩვენს კოლეგებს: ნინო მელიქიშვილს, ნანა ჩიკვატიასა და მაია მაჭავარიანს.

¹ ეს ფაქტი, VI და VII მსოფლიო კრებათა ოქმების გარდა, ე. წ. ტრულოს კრების (691-692 წწ.) I კანონშიც დასტურდება. შდრ. წმ. ექვთიმე ათონელის თარგმანი: „მეხუთედ ამას სამეუფოსა ქალაქსა, იუსტინიანე მეფისა ზე შემოკრებულთა რო (= 170 ლ. ტ.) წმიდათა მამათა, რომელთა განკუთვლეს თეოდორე მოძღვრეული, მოძღვარი ნესტორისი, და ორიგენე, მრავალთა წვალეობათა მეტყუელი, და დიდიმოს და ევანგელე“ (გიუნაშვილი (გამოც.), მცირე სჯულისკანონი, გვ. 18). შდრ. წმ. არსენ იყალთოელის თარგმანი: „კუალადცა კეთილად მსახურთა ჳმათა ას სამეოცდახუთთა ღმერთშემოსილთა მამათასა, რომელნი სამეუფოსა ამას ქალაქსა იუსტინიანუს ზე კეთილად მსახურებით მოწესნებულისა მეფისა ჩუენისა ერთად შემოკრებეს, ვითარცა სულისა მიერ აღმოთქმულთა აღვიარებთ და მიმდგომთა ჩუენტა ვასწავებთ, რომელთა თეოდორე მოძღვრეული, მოძღვარი ნესტორისი, და ორიგენი და დიდგმოს და ევანგელე, ელენებრივთა ზღაპრობათა მწმასნელნი და ჳორცთა რათმე და სულთა ჩუენტა მიმოცვალეებისა და შეცვალეებისა წარმრევლნი და ოცნებათა მიერ და მესიზმრეობითთა და სიჩქურთა გონებისათა ცხორებად კუალად-ქცევისა მკუდართადას ბოროტად მსახურებით მომპოვნებელნი... შეაჩუენნეს და მოიძაგნეს“ (გაბიძაშვილი და სხვ. (გამოც.), დიდი სჯულისკანონი, გვ. 370-371).

იმავე ნაშრომებს შეიცავს ერთნაირი თანმიმდევრობით, სულ 17 ტექსტს.² სხვა ბერძნულ ხელნაწერებში მათი რიცხვი შედარებით მცირეა.

ევაგრეს შრომათა მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად წმ. ნილოს სინელს (IV-V სს.) მიეწერება, ზოგიერთი კი – წმ. ბასილი დიდს († 379 წ.),³ წმ. მაქსიმე აღმსარებელსა († 662 წ.)⁴ და სხვა ცნობილ მოღვაწეებს. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო ევაგრეს შრომათა ღირსეული ნაწილის გადარჩენის სურვილით, რადგან ავტორის ვინაობა, შესაძლოა, ვინმესთვის დამაბრკოლებელი გამხდარიყო. დღეისათვის ევაგრეს ნაშრომების რეალური წარმომავლობა მკვლევართა მიერ გარკვეულია.

ევაგრე პონტოელის ცხოვრების შესახებ მთავარ წყაროს მისივე მოწაფის, პალადი ჰელონოპოლელის „ლაგსაიკონი“ წარმოადგენს.⁵ ევაგრეს ცხოვრებასა და შემოქმედებას ცალკე თავს უძღვნიან საეკლესიო ისტორიკოსები: სოკრატე სქოლასტიკოსი (IV-V სს.),⁶ ჰერმიას სოდომენე (IV-V სს.)⁷ და სხვები. ევაგრეს წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მიღებულია აზრი, რომ ევაგრე პონტოს ქალაქ იბოროდან (πύργος Ἰβόρων) იყო, რასაც „ლაგსაიკონის“ ზოგიერთი ნუსხა უჭერს მხარს.⁸ კ. კეკელიძის აზრით, ევაგრე წარმოშობით ქართველი უნდა ყოფილიყო, რადგან ბერძენ

² SC 170, pp. 166-182. ევაგრეს შრომათა აღნიშნულ კორპუსში მე-5 ტექსტად ჩართულია წმ. მაკარი დიდის 25-ე სიტყვა (PG 34, col. 668-673) მისი „50 სასულიერო ჰომილიიდან“ (*Homiliae spiritalis: CPG 2411*) (Peterson, „Irrige Zuweisungen asketischer Texte“, pp. 271-273).

³ ბასილი დიდის ავტორობით ცნობილი VIII ეპისტოლე – „რწმენის შესახებ“ (*Epistula fidei: CPG 2439; PG 32, col. 245-268*) – სინამდვილეში ევაგრე პონტოელს ეკუთვნის, რასაც ტექსტის სირიული თარგმანი ადასტურებს (Frankenberg (ed.), *Euagrius Ponticus*, pp. 620-635; Quasten, *Patrology*, p. 176).

⁴ ფსევდომაქსიმეს „პრაქტიკული თავების“ (*Capita Practica*) (Епифанович, *Материалы*, с. 56-59), ძირითადი ნაწილი ევაგრეს „გნოსტიკური თავებიდან“ (*Kephalaia Gnostica: CPG 2432*) არის გამოკრებილი (Hausherr, „Nouveaux fragments grecs“, pp. 229-233).

⁵ PG 34, col. 1188 B – 1195 A 2; Lucot (ed.), *Palladius*, pp. 266-280. ევგრემ მცირის მიერ ქართულად თარგმნილია „ლაგსაიკონის“ მოკლე რედაქცია (მამასახლისის (გამოც.), წმინდა პალადი ჰელონოპოლელი, გვ. 192-314). თარგმანის ორიგინალი უცნობია, იგი საგრძნობლად განსხვავდება ნაშრომის დღემდე ცნობილი რედაქციებისგან როგორც მოცულობით, ისე თავების თანმიმდევრობით (დათიაშვილი, „პალადი ჰელონოპოლელი“, გვ. 60-74). „ლაგსაიკონის“ ევგრემისეულ ვერსიას ევაგრე პონტოელის შესახებ თავი მთლიანად აკლია (კეკელიძე, „მეოთხე საუკუნის“, გვ. 9-10, შენ. 6).

⁶ SC 505, pp. 90-96.

⁷ SC 495, pp. 509-412.

⁸ PG 34, col. 1270 D 13 – 1271 A 14 (§ 134).

საეკლესიო მწერალთა და ისტორიკოსთა (პალადი, სოკრატე, სოძომენე, ნიკიფორე კალისტე) თქმით, იგი პონტოელი იყო, იბერთა ქალაქიდან (πύλαιος Ἰβήρων).⁹ აღნიშნული მოსაზრება სხვა ქართველმა მეცნიერებმაც გაიზიარეს.¹⁰

ნებისმიერ შემთხვევაში, ევაგრე დაბადებულია პონტოში, მღვდლის ოჯახში. მისთვის წიგნისმკითხველად ხელი დაუსხამს წმ. ბასილი დიდს, ხოლო დიაკვნად – მის ძმას, წმ. გრიგოლ ნოსელს (სოკრატეს მიხედვით – წმ. გრიგოლ ნაზიანზელს). იგი მსახურობდა კონსტანტინოპოლში დიაკვნად ჯერ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველთან, ხოლო მეორე მსოფლიო კრების (381 წ.) შემდეგ – ახლად არჩეულ ეპისკოპოს ნექტარიოსთან, სადაც თავი სიბრძნითა და მწვალებელთა მხილებით გამოუჩენია. გარკვეული პერიოდის შემდეგ, სულიერი განსაცდელისგან თავის არიდების მიზნით, ევაგრე კონსტანტინოპოლიდან პალესტინაში მიდის წმ. მელანია რომაელთან, იქიდან კი მალევე ეგვიპტეში მდებარე ნიტრიის მთას მიაშურებს და სახელგანთქმული მოსაგრე მამების, წმ. მაკარი მეგვიპტელისა (დიდი) და წმ. მაკარი ალექსანდრიელის მოწაფე ხდება, ორი წლის შემდეგ კი კელიათა უდაბნოში გადის და თოთხმეტი წლის განმავლობაში უკიდურეს მოსაგრეობას ეწევა. ამ პერიოდში ევაგრე ქმნის თავის ასკეტურ ნაწარმოებებს, რომელთაც ზემოქმედება იქონია მრავალი საეკლესიო მწერლის შემოქმედებაზე. სამწუხაროდ, ევაგრე ორიგენიზმისკენ მიიდრიკა, რაც ასახულია მის ნაშრომში „გნოსტიკური თავები“ (*Kephalaia Gnostica: CPG 2432*), თუმცა მისი შრომების ის დიდი ნაწილი, რომელიც თავისუფალია ორიგენიზმის გავლენისგან, დღემდე დაფასებულია საეკლესიო მწერლობაში. ევაგრე გარდაიცვალა 394 წელს, 54 წლის ასაკში.

ევაგრე პონტოელის შემოქმედებიდან გამოკრებილი „სწავლანი“ ქართულად ადრევე უთარგმნიათ. 907 წელს გადაწერილი სინური ხელნაწერი – Sin. georg. 35¹¹ – ერთადერთია, რომელშიც ევაგრეს გამონათქვამები ავტორისვე სახელით გვხვდება (26r-39r). სინურ ხელნაწერთა აღწერილობაში უ. გარიტის მიერ იდენტიფიცირებულია ევაგრეს შეგონებათა უძველესი ქართული თარგმანი,¹² მოგვიანებით იმავე ბერძნულ წყაროებს ასახელებს

⁹ კეკელიძე, „მეოთხე საუკუნის“, გვ. 5-17.

¹⁰ ყაუხჩიშვილი (გამოც.), *გეორგიკა* (VII), გვ. 106-117; ლოლაშვილი, *ქართველთა კულტურული ურთიერთობა მიზანწიასთან*, გვ. 31-52.

¹¹ გადაწერილია საბაწმიდაში არსენ ბერის მიერ, X საუკუნის მეორე ნახევარში მოხვედრილა სინაზე, მაცვლოვანის მონასტერში (დვალი, ჯღამაია, „მეათე საუკუნის პატერიკი“, გვ. 74).

¹² Garitte, *Catalogue*, pp. 99-102.

კ. კეკელიძე¹³ და, მასზე დაყრდნობით, ტექსტის გამომცემელი ს. მახარაშვილი.¹⁴ ცოტა ხნის წინ ჩვენც შევისწავლეთ აღნიშნული „სწავლანი“ და შევიტანეთ მცირეოდენი კორექტივი.¹⁵

ამდენად, როგორც დაზუსტდა, ევაგრე პონტოელის შრომათაგან Sin. georg. 35-ში დაცულია შემდეგი თარგმანები:

1. „მონაზონთა მიმართ კრებულთა“ (26r-v)¹⁶ წარმოადგენს „მონაზონთა მიმართ სენტენციების“ (*Sententiae ad monachos: CPG 2435*)¹⁷ პირველ ხუთ შეგონებას.¹⁸

2. მის[ი]ვე (26v-27r),¹⁹ რომელსაც კ. კეკელიძემ დასაწყისის მიხედვით უწოდა „წესი ახლად მონაზონქმნილთათვის“.²⁰ დასახელებული შეგონების ბერძნული ორიგინალი შეტანილი აღმოჩნდა წმ. ნილოს სინელის ეპისტოლეთა III წიგნში 303-ე ეპისტოლედ – *Ad juniores monachos instructio*.²¹ მხოლოდ ქართული თარგმანი ააშკარავებს, რომ სინამდვილეში ისიც ევაგრეს ეკუთვნის და არა ნილოსს. ეს ეპისტოლე კიდევ იმით არის საინტერესო, რომ იგი წარმოადგენს ფსევდობასილი კესარიელის ე. წ. „XII ასკეტური სიტყვის“ (*De ascetica disciplina: CPG 2890*)²² დასაწყისს,²³ მისი პერიფრაზირებული ვარიანტი აგრეთვე ჩართულია წმ. ამფილოქე იკონიელის მიერ აღწერილ „წმ. ბასილი დიდის ცხოვრებაში“.²⁴

3. ორი უსათაურო ტექსტი (27r-29r, 37r-39r)²⁵ არის პირველი ორი თავი შრომიდან „რვა გულისზრახვის შესახებ“ (ვრცელი რედაქცია) ანდა „ბოროტების რვა სულის შესახებ“ (მოკლე რედაქცია) (*De octo spiritibus*

¹³ კეკელიძე, „მეოთხე საუკუნის“, გვ. 8-9.

¹⁴ მახარაშვილი, „ევაგრე პონტოელი“, გვ. 3-39.

¹⁵ ტყეუბრაძე, „ევაგრე პონტოელის შრომა“, გვ. 183-187.

¹⁶ მახარაშვილი, „ევაგრე პონტოელი“, გვ. 21.

¹⁷ Gressmann, „Nonnenspiegel und Mönchsspiegel“, pp. 153-165; ლათ. თარგმანი: PG 40, col. 1277 C – 1282; PL 20, col. 1181-1186; სომხური თარგმანი: Sargisean (ed.), *Evagrius Ponticus*, pp. 114-124.

¹⁸ Gressmann, „Nonnenspiegel und Mönchsspiegel“, p. 153; PG 40, col. 1277 C 1-9; Garitte, *Catalogue*, p. 99, № III, 1.

¹⁹ მახარაშვილი, „ევაგრე პონტოელი“, გვ. 21-22.

²⁰ კეკელიძე, „მეოთხე საუკუნის“, გვ. 8.

²¹ PG 79, col. 532 D 9 – 533 B 3; ტყეუბრაძე, „ევაგრე პონტოელის შრომა“, გვ. 184.

²² PG 31, col. 648-652.

²³ Suciū, „The Coptic Versions“, p. 72.

²⁴ Combefis, *SS. Patrum Amphiloicii Iconiensis*, pp. 171 B 8 – 172 A 7. აღნიშნულ საკითხს დაწვრილებით ცალკე შევისწავლით.

²⁵ მახარაშვილი, „ევაგრე პონტოელი“, გვ. 22-24, 36-38.

malitiae: CPG 2451). პირველი თავი – „ნაყროვანების შესახებ“ (27r-29r)²⁶ – უსათაუროდ მოსდევს წინა შეგონებას, ამიტომ ჟ. ვარიტს ხელნაწერის აღწერილობაში ის ცალკე არ გამოუტანია.²⁷ მასში ჩართულია 1-5 სენტენცია მეორე თავიდან – „სიძვის შესახებ“,²⁸ რომლის ტექსტიც ხელნაწერში ათი ფურცლის შემდეგ გრძელდება (37r-39r).²⁹ ნაშრომი ცნობილია ორი რედაქციით – მოკლე (A)³⁰ და ვრცელი (B),³¹ ბერძნული ხელნაწერული ტრადიცია ორივე მათგანს წმ. ნილოს სინელს მიაწერს, ევაგრეს ავტორობას კი მხოლოდ ვრცელი ვერსიის შემცველი ორი ათონური ნუსხა (Protaton 26 და Lavra Γ 93) ადასტურებს.³² ტექსტის ავტორობა ნილოსს მიეწერება სომხურ თარგმანშიც,³³ თუმცა კოპტური,³⁴ სირიული,³⁵ არაბული³⁶ და ეთიოპიური³⁷ ვერსიები შრომას ევაგრე პონტოელს აკუთვნებენ.³⁸ ნაშრომის აღმოსავლური თარგმანები ვრცელ რედაქციას შეიცავენ,³⁹ ისევე, როგორც ქართული.⁴⁰

4. „რგათათვს გულისსიტყუათა“ (29r-32r)⁴¹ ხელნაწერში სამ ნაწილად არის შეტანილი.⁴² მთლიანობაში სამივე ტექსტი ევაგრეს „პრაქტიკოსის“ (*Practicus*: CPG 2430) პირველ თექვსმეტ შეგონებას შეიცავს.⁴³ თავად

²⁶ PG 79, col. 1145 A 1 – 1148 C 8.

²⁷ Garitte, *Catalogue*, p. 100, № III, 2.

²⁸ კოჭლამაზაშვილი, ევაგრე პონტოელის Antirrhethikos, გვ. 129.

²⁹ PG 79, col. 1148 C 12 – 1152 B 6; Garitte, *Catalogue*, pp. 101-102, № III, 8.

³⁰ PG 79, col. 1145-1164.

³¹ Muyltermans, “Une nouvelle recension”, pp. 235-274.

³² SC 170, pp. 166-182.

³³ Sargisean (ed.), *Lives of the Holy Fathers*, pp. 641-662.

³⁴ Schenke, “Ein koptischer Evagrius”, pp. 219-230; Schenke, “Das Berliner Evagrius-Ostrakon”, pp. 90-107.

³⁵ Muyltermans, *Evagriana Syriaca*, pp. 55-59.

³⁶ Samir, “Évagre le Pontique”, pp. 135-136.

³⁷ Bachmann (ed.), *Aethiopische Lesestücke*, pp. 26-33; Spies, “Die äthiopische Überlieferung”, pp. 203-228.

³⁸ Sinkewicz, *Evagrius of Pontus*, pp. 66-67.

³⁹ Muyltermans, “Une nouvelle recension”, pp. 259-273; Muyltermans, *Evagriana Syriaca*, pp. 55-59.

⁴⁰ ტყებუჩავა, „ევაგრე პონტოელის შრომა“, გვ. 187-193.

⁴¹ მახარაშვილი, „ევაგრე პონტოელი“, გვ. 24-29.

⁴² 1. PG 40, 1221 D 2 – 1224 A 9; 2. PG 40, col. 1272 A 1 – 1276 B 1; 3. PG 40, col. 1224 A 10 – B 5 (Garitte, *Catalogue*, pp. 100-101, № III, 3-5; კეკელიძე, „მეოთხე საუკუნის“, გვ. 8).

⁴³ SC 171, pp. 498-540; ტყებუჩავა, „ევაგრე პონტოელის შრომა“, გვ. 184.

ნაშრომი ცნობილი ტრილოგიის „სამონაზვნოს“ (Monachicos)⁴⁴ პირველ წიგნს წარმოადგენს და 100 თავისაგან შედგება.⁴⁵ იგი ლათინურად ორგზის ყოფილა ადრევე თარგმნილი, თუმცა ორივე მათგანი დაკარგულია.⁴⁶ ცნობილია მისი სამი სირიული ვერსია,⁴⁷ აგრეთვე – სომხური⁴⁸ და არაბული⁴⁹ თარგმანები.

5. „სასურველსა და საყუარელსა ევლოგის“ (32r-v)⁵⁰ არის „ევლოგის მიმართ ტრაქტატის“ (*Tractatus ad Eulogium: CPG 2447*)⁵¹ პროლოგის დასაწყისი.⁵² ბერძნულ ხელნაწერთა უმრავლესობა ნაშრომს წმ. ნილოს სინელს მიაწერს, მხოლოდ რამდენიმე – ევაგრე პონტოელს,⁵³ თუმცა სომხურ,⁵⁴ სირიულ⁵⁵ და არაბულ⁵⁶ თარგმანებში ავტორად ევაგრე სახელდება. ყველა მათგანი თარგმნილი ჩანს ბერძნული ორიგინალიდან.⁵⁷ ცნობილია ტრაქტატის ეთიოპური ვერსიაც, რომელიც შეიცავს მხოლოდ ნაშრომის პროლოგსა და დასაწყისს, თარგმნილია არაბული ვერსიიდან.⁵⁸

6. „თანაშეუღლვითათვს“ (32v-35v)⁵⁹ არის ევლოგის მიმართ გაგზავნილი მეორე ნაშრომი, რომელსაც ეწოდება „სათნობათა

⁴⁴ „სამონაზვნო“ (Monachicos): ა) „პრაქტიკოსი“ (*Practicus: CPG 2430*), ბ) „გნოსტიკოსი“ (*Gnosticus: CPG 2431*), გ) „გნოსტიკური თავები“ (*Kephalaia Gnostica: CPG 2432*).

⁴⁵ SC 171. PG-ში გამოქვეყნებულია ფრაგმენტულად: PG 40, 1220 C – 1236 C (1-5, 15-42, 50-53, 63-90); PG 40, 1244 B – 1252 C (29, 31, 43-49, 54-62, 91-100); PG 40, 1272 A – 1276 B (6-14).

⁴⁶ SC 170, pp. 318-319.

⁴⁷ SC 170, pp. 319-334.

⁴⁸ Sargisean (ed.), *Evagrius Ponticus*, pp. 22-54; SC 170, pp. 334-335.

⁴⁹ Graf, *Geschichte*, pp. 397-398; Samir, “Évagre le Pontique”, pp. 133-134; SC 170, pp. 335-336.

⁵⁰ მახარაშვილი, „ევაგრე პონტოელი“, გვ. 29.

⁵¹ SC 591, pp. 268-409; PG 79, col. 1093 D – 1140 A.

⁵² PG 79, col. 1093-1096 A 11; Garitte, *Catalogue*, p. 101, № III, 6.

⁵³ SC 591, pp. 83-121.

⁵⁴ Sargisean (ed.), *Evagrius Ponticus*, pp. 63-113.

⁵⁵ სირიულ ენაზე ტრაქტატის სამი ვერსია არსებობს (Muyldermans, *Evagriana Syriaca*).

⁵⁶ ცნობილია ნაშრომის სხვა არაბული თარგმანიც, რომელიც ამჟამად დაკარგულია. ხელნაწერი Jubayl Dayr al-Banât 161 შეიცავდა ევაგრეს სამ ნაშრომს: „ევლოგის მიმართ“ (*ad Eulogium: CPG 2447*), „გნებათა გარჩევის შესახებ“ (*De malignis cogitationibus: CPG 2450*) და „ანტირეტიკოსი“ (*Antirrheticus: CPG 2434*) (SC 591, p. 129).

⁵⁷ SC 591, pp. 121-132.

⁵⁸ SC 591, pp. 132-133.

⁵⁹ მახარაშვილი, „ევაგრე პონტოელი“, გვ. 29-34.

საპირისპირო მანკიერებების შესახებ“ (*De vitiis quae opposita sunt virtutibus: CPG 2448*).⁶⁰ ბერძნული ნუსხების უმრავლესობა მასაც წმ. ნილოსს მიაწერს, უფრო მცირე რაოდენობა კი – ევაგრე პონტოელს.⁶¹ ქართული ვერსიის გარდა, ნაშრომი ევაგრეს ავტორობითაა სირიულ და არაბულ თარგმანებში.⁶² „თანაშეულღვილთათვს“ ბერძნულ ორიგინალში 9 ანტითეზური წყვილისგან შედგება, ქართული თარგმანი კი – ექვსისგან. ქართული ვერსია შეიცავს შემდეგ თავებს:

- (1) „ნაყროვანებისათვს“ (γαστριμαργία) – „მარხვისათვს“ (ἐγκράτεια);
- (2) „სიძვისათვს“ (πιρνεία) – „სიწმინდისათვს“ (σωφορισύνη);
- (3) „ვეცხლისმოყუარებისათვს“ (φιλαργυρία) – „ნებისთ უპოვარებისათვს“ (ἀκτημοσύνη);

- (4) „მწუხარებისათვს“ (λύπη) – „სიხარულისათვს“ (χαρά);
- (5) „რიხვისათვს“ (ὀργή) – „სულგრძელებისათვს“ (μακροθυμία);
- (9) „ამპარტავანებისათვს“ (ὑπερηφάνια) – „სიმდაბლისათვს“ (ταπεινώσις).

ტექსტი სრულდება ეპილოგით: „ესენი ურთიერთარს მსგავსნი არიან, რომელნიმე არიან ცხორებისა მომატყუებელ, რომელნიმე არიან წარსაწყმედელისა წინამძღუარ. რომელნი ბრძენ იყვნენ, დაიცვნენ მცნებანი ესე, მათ გულისჴმა-ყვნენ წყალობანი უფლისანი და ცხოვნდენ ღმრთისა მიერ უკუნისამდე“ (*Sin. georg. 35, 35v*).⁶³

7. „ცუდადუაობისათვს“ (35v-37r)⁶⁴ არის უცნობი შეგონება, რომელიც სინურ ხელნაწერში მოხდევს ზემოხსენებულ ნაშრომს „თანაშეულღვილთათვს“ და მის ნაწილად მიიჩნეოდა,⁶⁵ თუმცა აშკარად დამოუკიდებელია წავალა. აღნიშნული შრომის – „სათნოებათა საპირისპირო მანკიერებების შესახებ“ – ქართულ ვერსიას („თანაშეულღვილთათვს“) სამი თავი (ანტითეზური წყვილი) აკლია:

- (6) მოწყინება (ἀκῆδία) – მოთმინება (ὑπομοσύνη);
- (7) დიდებისმოყვარეობა (κενοδοξία) – არადიდებისმოყვარეობა (ἀκενοδοξία);
- (8) შური (φθόσις) – უშურველობა (ἀφθονία).

⁶⁰ SC 591, pp. 410-437; PG 79, col. 1140 B – 1144 D; Garitte, *Catalogue*, pp. 101-102, № III, 7.

⁶¹ SC 591, pp. 213-240.

⁶² SC 591, pp. 241-244.

⁶³ მახარაშვილი, „ევაგრე პონტოელი“, გვ. 34.

⁶⁴ იქვე, გვ. 35-36.

⁶⁵ Garitte, *Catalogue*, pp. 101-102; კეკელიძე, „მეოთხე საუკუნის“, გვ. 8-9; მახარაშვილი, „ევაგრე პონტოელი“, გვ. 11-12.

საქმე ისაა, რომ ამ ნაკლულთაგან მე-7 თავის სახელწოდება (κωνιδίαι) ემთხვევა ჩვენთვის საინტერესო შეგონების სათაურს. სწორედ ამ გარემოების გამო უნდა იყოს განპირობებული მკვლევართა დაბნეულობა, რომ მათ ევაგრეს დამოუკიდებელი შეგონება („ცუდადზუაობისათვის“) სულ სხვა ნაწარმოების („თანაშეუღლვილთათვის“) ერთ-ერთ ქვეთავად ჩათვალეს. სინამდვილეში „ცუდადზუაობისათვის“ ზემოხსენებული თავისგან (κωνιδίαι – ἄκωνιδίαι) სრულიად განსხვავებული ტექსტია, რომლის ორიგინალი ევაგრეს შრომათა შორის არ იძებნება.⁶⁶ შესაძლოა, იგი მხოლოდ ქართულმა თარგმანმა შემოინახა.

„ცუდადზუაობისათვის“ ანონიმურად შეტანილი აღმოჩნდა კიდევ ერთ წინათონური პერიოდის ასკეტურ კრებულში – ხეც H-622 (X ს.). ცნობილი იყო, რომ აღნიშნული ნუსხა ნილოს სინელის სახელით შეიცავდა ევაგრე პონტოელის შრომას „ლოცვისათვის“ (57r-61v). რამდენადაც ევაგრეს ასკეტური შრომების დიდი ნაწილი წმ. ნილოსს მიეწერება, ევაგრეს ნაშრომის ფსევდონილოსის სახელით ქართულად თარგმნაც არაა გასაკვირი.

ბერძნული ხელნაწერული ტრადიცია ტრაქტატს „ლოცვის შესახებ“ (*De oratione: CPG 2452*)⁶⁷ მხოლოდ ნილოს სინელს მიაწერს, თუმცა სირიული, არაბული და ეთიოპური თარგმანების მიხედვით ირკვევა, რომ სინამდვილეში მისი ავტორი ევაგრე პონტოელია.⁶⁸ „ლოცვისათვის“

⁶⁶ SC 591, p. 244.

⁶⁷ SC 589, pp. 208-371; PG 79, col. 1165-1200.

⁶⁸ Hausherr, “Le traité”, pp. 34-93, 113-170; Hausherr, “De oratione”, pp. 7-71; Quasten, *Patrology*, p. 174. De oratione-ის ბერძნული ტრადიცია ძირითადად ორგვარია: ტრაქტატი პროლოგით (ნაკლებად ვაგრცელეული) და პროლოგის გარეშე (SC 589, pp. 73-119). იგი თარგმნილია ქრისტიანული აღმოსავლეთის ხუთ ენაზე (სირიული, სომხური, არაბული, ეთიოპური და ქართული) და, ასევე, სლავურად. პროლოგი ყველა მათგანს აკლია. ნაშრომი ბერძნულიდან სომხურ ენაზე VI-VII საუკუნეებში ითარგმნა ნილოს სინელის სახელით (Sargisean (ed.), *Lives of the Holy Fathers*, pp. 700-716), სირიულად – ორგზის: პირველად – V საუკუნის ბოლოს ევაგრეს ავტორობით (Hausherr, “De oratione”, pp. 8-18), ხოლო მეორედ – VII-VIII საუკუნეებში ნილოსის სახელით (SC 589, pp. 132-135). ნაშრომის სამი არაბული ვერსია არსებობს – ორი სრული და ერთი ფრაგმენტული. პირველი ითარგმნა ბერძნულიდან ევაგრეს ავტორობით, სავარაუდოდ, IX საუკუნეში (Hausherr, “De oratione”, pp. 21-58), მეორე თარგმანი ნილოსს მიეწერება და სირიული ვერსიიდან ჩანს თარგმნილი X საუკუნეში (Géhin, “Les Versions syriaques et arabes”, pp. 188-191), მესამე ფრაგმენტული ტექსტი კი მეორე თარგმანის (სირიულიდან მომდინარე) რედაქტირებას წარმოადგენს კლასიკურ არაბულზე (Mansour, *Homélies et légendes religieuses*, pp. 229-234). ნაშრომის ეთიოპური XVI საუკუნამდელი თარგმანი შესრულებულია პირველი არაბული ვერსიიდან

ქართულად თარგმნილია გამოკრებით: აკლია პროლოგი და 153 შეგონების ნაცვლად მხოლოდ 48-ს შეიცავს.⁶⁹ ბ. უტიეს აზრით, ტექსტი თარგმნილია სირიულიდან მომდინარე არაბული ვერსიიდან.⁷⁰

რაც შეეხება ხეც H-622-ში შეტანილ შეგონებას „ცუდადზუაობისათვის“, იგი ზუსტად Sin. georg. 35-ისეული ვერსიაა, თანაც ხელნაწერში (ხეც H-622) აღნიშნულ ტექსტს უსათაუროდ მოსდევს „პრაქტიკოსის“ (*Practicus*) მე-6 სენტენცია,⁷¹ თითქოს ორივე ერთი ნაშრომი იყოს. არადა, Sin. georg. 35-ში ეს მონაკვეთი ბუნებრივად „პრაქტიკოსის“ შეგონებათა შორის გვხვდება.⁷² ცხადია, კრებულის შემდგენელს Sin. georg. 35-ში დაცული თარგმანი ჰქონდა ხელთ, მისთვის ცნობილი იყო შეგონების ევაგრესეულობა, ამიტომაც იგი კრებულში ანონიმურად შეიტანა.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ორი უძველესი ქართული ხელნაწერიდან ერთში (Sin. georg. 35) ევაგრეს შრომები ავტორისავე სახელით არის შეტანილი, ისეთებიც კი, რომლებიც ბერძნულად ნილოს სინელის სახელით გავრცელდნენ, ხოლო მეორე ნუსხაში (ხეც H-622) ევაგრეს ავტორობით არც ერთი ნაშრომი არ გვხვდება. დასაშვებად მიგვაჩნია, ევაგრეს შრომები ქართულ ენაზე უძველეს პერიოდშივე თარგმნილიყო, ანუ VI ს-ის შუა წლებამდე, სანამ ავტორი ანათემას გადაეცემოდა (553 წ.), რაც Sin. georg. 35-ში უცვლელად აისახა,⁷³ ხეც H-622-ის შემდგენელ-გადამწერმა კი ამ თარგმანიდან აღებულ ტექსტს ანათემირებული ავტორი შეგნებულად აღარ მიუთითა.

დასახელებულ შეგონებათა ფრაგმენტები კიდევ ერთ კრებულში აღმოჩნდა, რომელიც მხოლოდ ათონური ხელნაწერით – Ivir. georg. 17 (XI

ევაგრეს ავტორობით (SC 589, pp. 136-139). ტრაქტატის ორი სლავური თარგმანია ცნობილი და ორივე მათგანი ნილოსს მიეწერება. პირველი ვერსია თარგმნილი უნდა იყოს IX საუკუნის ბოლოსა და X-ის დასაწყისში, ხოლო მეორე – XIV საუკუნეში (Miltanova, “On Prayer”, pp. 321-346).

⁶⁹ ფსევდონილოსის „ლოცვისათვის“ მოგვიანებით წმ. ეფრემ მცირის (XI ს.) მიერ სრულადაა თარგმნილი, პროლოგის გარეშე (კოჭლამაზაშვილი, „წმ. ნილოს სინელი“, გვ. 192-230; კოჭლამაზაშვილი, „ევაგრე პონტოელის De Oratione“, გვ. 7-50).

⁷⁰ უტიე, „ფსევდო-ნილოსის ლოცვისათვის“, გვ. 198-200.

⁷¹ PG 40, col. 1272 A 1-10.

⁷² მახარაშვილი, „ევაგრე პონტოელი“, გვ. 25.

⁷³ სინურ ხელნაწერში (Sin. georg. 35) სწავლათა ავტორები წმიდად ანდა ნეტარად იწოდებიან, ხოლო ევაგრე მხოლოდ სახელითაა მოხსენიებული. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ევაგრე წმიდად არც ბერძნულ ნუსხებში იწოდება, არამედ მხოლოდ – მონაზონად (Εὐαγρίου μοναχῶν...).

ს.) – არის ცნობილი. ხელნაწერის პირველი ნახევარი ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ აგიოგრაფიულ ძეგლებს შეიცავს, ხოლო მეორე ნახევარი – პატერიკონს, რომელსაც ეწოდება „გამოკრებულნი სადაათვე სიტყუანი წმიდათა მამათანი“ (Ivir. georg. 17, 263r-350v).⁷⁴ დ. ჩიტუნაშვილის მიერ გარკვეულია, რომ აღნიშნული პატერიკი არის არა რომელიმე აპოფთეგმური კრებულის თარგმანი, არამედ არსებული ქართული თარგმანების საფუძველზე შედგენილი ორიგინალური სტრუქტურის მქონე პატერიკი, რომელიც ხელნაწერის შემდგენელის მიერ შევსებულია ექვთიმე მთაწმიდელისეული თარგმანებიდან ამოღებული ფრაგმენტებით.⁷⁵

Ivir. georg. 17-ის აპოფთეგმურ ნაწილში ევაგრეს შრომათა წინაათონური თარგმანებიდანაც გვხვდება შეგონებები, ზოგიერთი – ნილოს სინელის სახელით, ზოგიერთი კი – ანონიმურად („თქუა ბერმან“).⁷⁶ მათგან შვიდი გამონათქვამი აღებულია ევაგრეს ზემოაღნიშნული შრომიდან „ლოცვისათვს“.⁷⁷ „გამოკრებულში“ შეტანილი აღმოჩნდა, აგრეთვე, ფრაგმენტი ევაგრე პონტოელის შეგონებიდან „ცუდადუაობისათვს“, კერძოდ, მისი დასაწყისი ნაწილი (296r-v).⁷⁸ ტექსტი ათონურ ნუსხაშიც, ხეც H-622-ის მსგავსად, უავტოროდ გვხვდება, თუმცა მისგან იკითხვისებით განსხვავდება.

შევხვით ტექსტის შინაარსობრივ მხარესაც. ევაგრეს შეგონება „ცუდადუაობისათვს“ მიმართულია რვა მთავარი ვნებიდან ერთ-ერთი ყველაზე მზაკვარის, რიგით მე-7 ვნების, დიდებისმოყვარეობის სამხილებლად. ძველქართული „ცუდადუაობაჲ“ ბერძნული κενობιζία-ს (ლათ. vana gloria) ზედმიწევნითი შესატყვისია, რაც ვფიქრობთ, ტერმინის შინაარსს სრულყოფილად გადმოსცემს.

სწავლებაში ევაგრე პონტოელი დეტალურად აღწერს იმ სულიერ ბრძოლას, რომელსაც სიამაყის („ზუაობის“) ვნება აღუძრავს მოღვაწეს.

⁷⁴ ჩიტუნაშვილი, „გამოკრებულნი სადაათვე“, გვ. 255-342.

⁷⁵ ჩიტუნაშვილი, „Ath.17-ში დაცული პატერიკისათვის“, გვ. 154-160; ჩიტუნაშვილი, „გამოკრებულნი სადაათვე“, გვ. 255-264. იხ., აგრეთვე: Outtier, „La plus ancienne traduction Géorgienne des apophtegmes“, pp. 7-17.

⁷⁶ აღნიშნულ შეგონებათა შესახებ ჩვენი სტატია „ევაგრე პონტოელის შეგონებები ძველ ქართულ პატერიკულ კრებულებში“ იბეჭდება კრებულ „მრავალთავის“ მომდევნო ნომერში.

⁷⁷ „გამოკრებულში“ (Ivir. georg. 17) ტრაქტატიდან „ლოცვისათვს“ შეტანილია შემდეგი შეგონებები: 81-ე, 149-ე, 150-ე; 121-ე, 123-ე; 128-ე; 136-ე (იხ.: ჩიტუნაშვილი, „გამოკრებულნი სადაათვე“, გვ. 273, 292, 301, 316).

⁷⁸ ჩიტუნაშვილი, „გამოკრებულნი სადაათვე“, გვ. 295.

ქედმაღლობის დემონი სხვადასხვა გზით გამოსცდის ასკეტს. იგი პირველად ხორციელი საცდურებით იწყებს მზაკვრობას, ან მდიდრულად ჩაცმას აიძულებს, ან განათლებით აამაყებს, ანდა – რომელიმე ხელსაქმის კარგად ცოდნით, რათა სხვაზე უკეთესად მიიჩნიოს თავი. ხოლო თუ მოღვაწე ამ ცთუნებებს გაუმკლავდება, ზვაობა მაინც არ განეშორება და შემპარავად ჩასჩურჩულებს: „დიდ ხარ, დიდ, რამეთუ დამსდაბლდი ესოდენ“.

მომდევნო ბრძოლა კიდევ უფრო დახვეწილია და სიამაყე უკვე სულიერი სათნოებებით იწყებს ასკეტის ცთუნებას, მას საკუთარ ცოდვებს ავიწყებს და მზერას სხვისი სისუსტეებისკენ მიაპყრობინებს; ყველა სახის სათნოებას, რომელიც მოპოვებული აქვს მოღვაწეს, აქებს და ამით დიდების მოყვარეობის ცოდვაში აგდებს. საკუთარი უძლურება რომც აღიაროს, მაინც განადიდებს მას სიამაყის ბოროტი სული: „ეჰა, ჭემმარიტად ნეტარ ხარ, რამეთუ აწ გიპოვნის გულისჭმისყოფა...“.

ამდენად, ურთულესია ამ მრავალთავიანი დემონის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელსაც ყოველი მხრიდან შეუძლია მოქმედება და მრავალი წახნავის მქონეა, მხოლოდ ღვთისაკენ მომზირალი თუ დაუსხლტება მის მზაკვრობებს უფლისავე წყალობით.

[A 296v] ამას გულისხმობსა გარნა ლოცვაჲ უკმს და ვედრებაჲ ღმრთისა
 5 მიმართ, რამეთუ ყოვლადვე მახვლ არს და ქუე ვერ მივარდების, ამისათვის
 იტყვს: „რამეთუ არა განმართლდეს ყოველი ჯორციელი წინაშე ღმრთისა“.⁸⁰
 და რომელ-იგი თქუა: „სასუფეველი ცათაჲ კაცთა მიერ შეუძლებელ
 არს, ხოლო ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“.⁸¹ ამისათვის
 იტყვს დავით: „მიჯდებოდა რაჲ ცოდვილი წინაშე ჩემსა, დავმდაბლდი
 10 კეთილთაგან“.⁸² * ესევე სული წინა-აღუდგა მოსეს ეგვპტეს შინა, ოდეს
 გრძნეულნი იგი სასწაულთა მათ მრავალფერად უკდებოდეს მოსეს წინაშე
 მეგვპტელთა მათ. ჰხედვიდა, ვითარ ვერ შეუძლო მოსე სიმართლითა
 თვხითა მოწყუედად ვეშაპთა მათ, არამედ სახემან ჯუარისამან შთათქნა
 იგინი.⁸³ ესე სახც არს, რამეთუ ვერგის ძალ-უც განმართლებად საქმეთა
 15 თვსთაგან, არამედ მის მიერ, რომელი აცხოვნებს უმაღლოდ ყოველთა,
 რომელნი ესვენ მას ჭეშმარიტებით.

ესე სული პირველად აზუაოებნ სამოსელსა წმიდასა [S 36r] და მრავლისა
 სასყიდლისასა აიძულებნ, რეცა უშუენიე[H 104r]რეს არნ იგი უფროდს
 ყოველთა კაცთა; და თუ სიტყუად რაჲმე თქვს კეთილი მეცნიერებისად,
 20 აზუაოებნ ჳმა-კეთილობასა, ფსალმუნებასა და სწავლულებასა; და თუ
 წიგნისკითხვად იცოდის კეთილად, ამას ყოველსა ზედა თავსა უფროდს
 შეჰრაცხებნ; და თუ რაჲმე იცინ ჳელთსაქმარი კეთილად, მოუვლენენ თავის-

⁷⁹ ტექსტი მოგვაქვს Sin. georg. 35-ისა (907 წ.) და ხეც H-622-ის (X ს.) მიხედვით. ვარიანტებს შესაბამისად ვუთითებთ S და H ლიტერებით. Ivir. georg. 17-ში (XI ს.) შეტანილი ფრაგმენტის ვარიანტები აღნიშნულია A ლიტერით. S-ში „გ“-ს ნაცვლად ყოველთვის გვხვდება „უი“, რასაც სქოლიოში ჩამოტანის გარეშე ვასწორებთ.

⁸⁰ რომ. 3, 20

⁸¹ ლკ. 18, 27.

⁸² შდრ. ფს. 38, 2-3.

⁸³ ის. გამ. 7, 9-12.

2 ცუდადზუაობისათვის] თქუებული მამათაჲ + ცუდადზუაობისათვის A. 4 ლოცვაჲ] + ხოლო A. 5 ყოვლადვე] ფრიად A. მივარდების] მიმარდების H. 6 წინაშე ღმრთისა] შენ წინაშე A. 7 რომელი-იგი] რომელი H. 8 ხოლო] არამედ A. 10 *აქამდეა A-ში შეტანილი ფრაგმენტი. სული] + წინა-უკდებოდა და H. 12 ჰხედვიდა] ხედვიდა S. 14 სახც] სახეც S. 17 აზუაოებნ] აზაობნ S, აზოებნ H. მრავლისა] მრავლის H. 18 უშუენიერეს] უშუენიერეს H. 20 აზუაოებნ] აზაობნ S. 21 წიგნისკითხვად] წიგნისა კითხვად S. 22 შეჰრაცხებნ] შეჰრაცხებენ S. ჳელთსაქმარი] ჳელთა საქმარი H. მოუვლენენ] მოუვლენ S.

მოთნებასა. და თუ წინა ვითარ აღუდგე და გულისწმა-ჰყო და განჰგმო თავი თვისი, თუ: რად ხარ, ანუ რაფსა განიხარი? მერმე გეტყოდის: დიდ ხარ, დიდ, რამეთუ დამსდაბლდი ესოდენ. და თუ ვითარ წინა-აღუდგე მასცა, მან იგივე დაგიდგას: ეჰა, რამეთუ მდაბალ ხარ.

მერმე მიახედვებნ განკითხვასა ზედა ძმისასა, და თუ ვინმე იხილის ძმად რომელსამე შინა ბრალსა, რამეთუ ესე აქუს ბოროტი წარწყმედისა მათისად, და კაცთა მიმართ უფროდს, ხოლო მონაზონთა მიმართ განეწყობიან მრავალფერად, და უჩუენებედ ნურას მრავალფერად და უჩუენებედ ნურას უცნებასა, ვითარცა ჰეშმარიტსა. და დაავიწყნის თვისნი ცოდვანი და სხვასა მას დააკვრვენ და ცოდვასა შეაგდის, ვითარცა თქუა მოციქულმან: „ესრეთ განიკითხავ ძმასა შენსა და ქრისტეს მიმართ სცოდავ, [H 104v] რამეთუ შენ თავადი მაგასვე იქმ“.⁸⁴ და თუ მოიწხენო საქმე ესე და საქმენი თვისნი, და თანა-წარჰკდე ეგევითარსა მას ცეცხლსა დაუბრკოლებელად, და განიკითხო თავი თვისი, ვითარ შენ უძვრეს ხარ და თვთ თავადი მასვე იქმ, მაშინ გაზუაობებდეს გონებასა და გეტყოდის: დიდ ხარ, რამეთუ ჰპოვე განკითხვად [S 36v] გონებისად. და თუ გაქუნდეს მარხვად, გინა მღვძარებად, ანუ ცრემლი ლოცვასა შინა, აგიმალლებდეს თავსა შენსა, ვითარმედ: დიდ ხარ. და თუ გულისწმა-ჰყო, ვითარმედ ნაცარი ხარ, და ყოველსა, რომელსა ჰყოფ ძალითა და შეწევნითა მაცხოვრისადთა, მან გრქუას: ეჰა, დიდ ხარ, დიდ, რამეთუ იცან თავი თვისი და ესოდენსა სიმდაბლესა მიიწიე. და თუ მი-ვის-ჰხედნეთ უძღურებასა შინა, და გაქუნდეს სიყუარული და მოწყალება, გინა სიმშვედ და დუმილი, ანუთუ მორჩილება, აგიმალლებდეს თავსა, ვითარმედ: ნეტარ ხარ შენ. და თუ იცნა თავი თვისი, ვითარმედ არარად ძალ-გიც და რასა-იგი ჰყოფ, უფალი არს, რომელი იქმს შენ თანა, მერმე კუალად გრქუას: ეჰა, ჰეშმარიტად ნეტარ ხარ, რამეთუ აწ გიპოვნის გულისწმისყოფად და განკითხვად გულისსიტყუათა და ბრძოლად მტერისა მიმართ.

⁸⁴ შდრ. რომ. 2, 1.

1 გულისწმა-ჰყო] გულისხმა-ჰყო H. 2 განიხარი] განიხარ S. 3 თუ] – H. 6 ~ ბრალ[ს]ა შინა S. 7 და] – S. 9 დაავიწყნის] დავიწყნის S. 10 ესრეთ] ესრეთ H. 11 ქრისტეს] ქრისტეს H. 12 საქმე] საქმე S. 13 დაუბრკოლებელად] დაუპოლებელად H. 14 უძვრეს] უძვრეს H. მასვე] ამასვე S. 15 გაზუაობებდეს] გაზუაობდეს H. 16 გაქუნდეს] გაქუანდეს H. 18 გულისწმა-ჰყო] გულისწმა-ყო S. გულისხმა-ჰყო H. 21 მი-ვის-ჰხედნეთ] მი-ვის-ხედნე S. გაქუნდეს] გქონდის S. 22 სიმშვედ] სიმშვედ S. 23 თვისი] შენი H. 26 გულისწმისყოფად] გულისხმისყოფად H.

ესრტო [H 105r] არს ესე სული და ვინაფთვე არა მივარდების, ოდეს დამსდაბლდე, გონებასა გიზუაობებდეს, ვითარმედ: მდაბალ ხარ. და სხვით სახით სხუად სახედ წინა-აღვიდგებოდის, რამეთუ ყოვლადვე მახვლ არს და ზღუდე, ვერვის ძალ-უც თავით თვისით წინააღდგომად ამისა, არამედ 5 ღმრთისა მიივლტოდე, ვითარცა-იგი დავით, რამეთუ ესრევე უკლებოდა მასცა, ვითარცა ზემო წერილ არს.

და მერმე იტყვს: „რამეთუ შენ მიერ მივსენ მე განსაცდელისაგან და ღმრთისა ჩემისა მიერ გარდავკედ ზღუდესა“.⁸⁵ და კრებული წმიდათაჲ მასვე იტყვს: „განმცადენ ჩუენ და გამომაჭურვენ ჩუენ“,⁸⁶ [S 37r] „განვლეთ 10 ჩუენ ცეცხლი და წყალი“,⁸⁷ რამეთუ ცეცხლ არს აღმგზებელ და წყალ – დამშრეტელ, და მახვლ არს იქცევის. არამედ ვერვინ თანა-წარვლოს ესე, გარნა წყალობითა სახიერისა ღმრთისაჲთა, რამეთუ უმაღლოთა მიმართ არს ქველისმოქმედ, ვითარცა-იგი, რომელ იტყვს: „თუალნი ჩემნი მარადის უფლისა მიმართ, რამეთუ მან განარინნის მახესა ფერვნი ჩემნი“.⁸⁸

⁸⁵ ფს. 17, 30.

⁸⁶ ფს. 65, 10.

⁸⁷ ფს. 65, 12.

⁸⁸ ფს. 24, 15.

1 ესრტო] ესრეტო S. ვინაფთვე] ვინაფთ H. **2** გიზუაობებდეს] გიზაობებდეს S, გიზუაობდეს H. **3** წინა-აღვიდგებოდის] წინა-ავიდგებოდის S. **4** ამისა] ამას H. **8** ჩემისა მიერ გარდავკედ ზღუდესა] ჩე: და შემდგომი H. **9** ჩუენ] + და H. **14** განარინნის] განარინა S.

ბიბლიოგრაფია

- გაბიძაშვილი და სხვ.** (გამოც.), *დიდი სჯურისკანონი = დიდი სჯურისკანონი*, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, 1975).
- გიუნაშვილი (გამოც.)**, *მცირე სჯურისკანონი* = ე. გიუნაშვილი (გამოც.), *მცირე სჯურისკანონი* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, 1972).
- დათიაშვილი**, „პალადი ჰელონობოლეი“ = ლ. დათიაშვილი, „პალადი ჰელონობოლეის ‘ლაგსაიკონი’ და მისი ძველი ქართული თარგმანი“, *ღივრადგურელი ძიებანი*, XXII (თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2001), გვ. 60-74.
- დვალი, ჯღამაია**, „მეათე საუკუნის პატერიკი“ = მ. დვალი, ლ. ჯღამაია, „მეათე საუკუნის პატერიკის (Sin-35) ერთი ფრაგმენტის შესახებ“, *მრავლთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, VI (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, 1978), გვ. 72-80.
- კეკელიძე**, „მეთოხე საუკუნის“ = კ. კეკელიძე, „მეთოხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე“, კ. კეკელიძე, *ეფიუდები ძველი ქართული ღივრადგურის ისტორიიდან*, ტ. VI (თბილისი, 1960), გვ. 5-17.
- კოჭლამაზაშვილი**, „წმ. ნილოს სინელი“ = ე. კოჭლამაზაშვილი, „წმ. ნილოს სინელის სახელით წარწერილი სწავლანი ლოცვისათვის და მისი ძველი ქართული თარგმანი“, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი*, IX (თბილისი: კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017), გვ. 192-230.
- კოჭლამაზაშვილი**, ევაგრე პონტოელის *Antirrhetikos* = ე. კოჭლამაზაშვილი, *ევაგრე პონტოელის Antirrhetikos-ის ძველი ქართული თარგმანი*, პატრისტიკული კვლევა საქართველოში, IV (თბილისი, 2019).
- კოჭლამაზაშვილი**, ევაგრე პონტოელის *De Oratione* = ე. კოჭლამაზაშვილი, *ევაგრე პონტოელის De Oratione-ს ძველი ქართული ვერსიები*, პატრისტიკული კვლევა საქართველოში, VI (თბილისი, 2022).
- ლოლაშვილი**, ქართველთა კულტურული ურთიერთობა ბიზანტიასთან = ი. ლოლაშვილი, *ქართველთა კულტურული ურთიერთობა ბიზანტიასთან (IV ს.)*, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან (თბილისი, 1978).
- მამასახლისი (გამოც.)**, წმინდა პალადი ჰელენოპოლეი = ქ. მამასახლისი (გამოც.), *წმინდა პალადი ჰელენოპოლეი, ლაგსაიკონი*, საეკლესიო ბიბლიოთეკა, ტ. XIV (თბილისი, 2010).
- მასარაშვილი**, „ევაგრე პონტოელი“ = ს. მასარაშვილი, „ევაგრე პონტოელის ცხოვრებამოღვაწეობა და მისი თხზულებათა ქართული თარგმანი“, *ძველი ქართული მწერლობის მაცნე*, I (თბილისი, 1984), გვ. 3-39.
- ტყეზუჩავა**, „ევაგრე პონტოელის შრომა“ = ლ. ტყეზუჩავა, „ევაგრე პონტოელის შრომა ‘ბოროტების რვა სულის შესახებ’ და მისი წმ. ექვთიმე ათონელისეული თარგმანი“, *სადგობისმეცნიერო-სამეცნიერო შრომები*, X-XI (თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია, 2020), გვ. 183-264.

- უტიე**, „ფსევდო-ნილოსის ლოცვისათვის“ = ბ. უტიე, „ფსევდო-ნილოსის ლოცვისათვის, არაბულიდან ქართულად ძველი ნათარგმნი თავები“, *კონსტანტინე წერეთელი 80, საიუმბილო კრებული*, თ. გამყრელიძე (რედ.) (თბილისი, 2003), გვ. 198-200.
- ყაუხჩიშვილი (გამოც.)**, *ვეორგიკა (VII) = ვეორგიკა: მიზანდევნი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტ. VII, ტექსტები ქართული თარგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა (თბილისი, 1967).
- ჩიტუნაშვილი**, „Ath.17-ში დაცული პატერიკისათვის“ = დ. ჩიტუნაშვილი, „Ath.17-ში დაცული პატერიკისათვის“, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, XXI (თბილისი: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2005), გვ. 154-160.
- ჩიტუნაშვილი**, „გამოკრებულნი სადაათვე“ = დ. ჩიტუნაშვილი, „‘გამოკრებულნი სადაათვე სიტყუანი წმიდათა მამათანი’, Ath.17-ში დაცული პატერიკი (ტექსტის პუბლიკაცია)“, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი*, IV (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2011), გვ. 255-342.
- Bachmann (ed.)**, *Aethiopische Lesestücke* = J. Bachmann (ed.), *Aethiopische Lesestücke*, Inedita Aethiopica für den Gebrauch in Universitäts-Vorlesungen (Leipzig, 1893).
- Combefis (ed.)**, *SS. Patrum Amphilochii Iconiensis* = F. Combefis (ed.), *SS. Patrum Amphilochii Iconiensis, Methodii Patarensis, et Andreae Cretensis, Opera omnia*, (Parisiis, 1644).
- CPG** = Clavis Patrum Graecorum, vol. II (Ab Athanasio ad Chrysostomum), ed. M. Geerard (Brepols – Turnhout, 1974).
- Frankenberg (ed.)**, *Euagrius Ponticus* = W. Frankenberg (ed.), *Euagrius Ponticus*, Abhandlungen der königlichen Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen, Philologisch-historische Klasse (Berlin, 1912).
- Garitte**, *Catalogue* = G. Garitte, *Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai*. Corpus christianorum orientarium, 165, Subsidia Tome 9 (Louvain, 1956).
- Géhin**, “Les Versions syriaques et arabes” = P. Géhin, “Les versions syriaques et arabes des Chapitres sur la prière d’Évagre le Pontique: quelques données nouvelles”, *Les Syriaques transmetteurs de civilisations* (Patrimoine syriaque, Actes du Colloque IX), M. Atallah (éd.) (Antélias-Liban, 2005), pp. 181-197.
- Graf**, *Geschichte* = G. Graf, *Geschichte der Christlichen Arabischen Literatur*, vol. I (Studi e Testi, 118) (Vatican, 1944).
- Gressmann**, “Nonnenspiegel und Mönchsspiegel” = H. Gressmann, “Nonnenspiegel und Mönchsspiegel des Euagrius Pontikos”, *Texte und Untersuchungen zur Geschichte der altchristlichen Literatur*, vol. 39.4 (Leipzig, 1913), pp. 143-165.
- Hausherr**, “Le traité” = I. Hausherr, “Le traité de l’oraison d’Évagre le Pontique (Pseudo-Nil)”, *Revue d’ascétique et de mystique*, 15 (Toulouse, 1934), pp. 34-93, 113-170.
- Hausherr**, “De oratione” – I. Hausherr, “Le ‘De oratione’ d’Évagre le Pontique en syriaque et en arabe”, *Orientalia Christiana Periodica*, 5 (Rome, 1939), pp. 7-71.
- Hausherr**, “Nouveaux fragments grecs” = I. Hausherr, “Nouveaux fragments grecs d’Évagre le Pontique”, *Orientalia Christiana Periodica*, 5 (Rome, 1939), pp. 229-233.
- Lucot (ed.)**, *Palladius* = *Palladius, Histoire Lausiaque*, texte grec, introduction et traduction française par A. Lucot (Paris, 1912).
- Mansour**, *Homélies et légendes religieuses* = J. Mansour, *Homélies et légendes religieuses: Un florilège arabe chrétien du X^e siècle (Ms. Strasbourg 4225)* (Strasbourg, 1972).

- Miltenova**, “On Prayer” = A. Miltenova, “Once Again about the Multifold Slavonic Translations and their Context: “On Prayer” by Evagrius of Pontus (CPG 2452)”, *Studia Ceranea, Journal of the Waldemar Ceran Research Centre for the History and Culture of the Mediterranean Area and South-East Europe*, 11 (Lodz, 2021), pp. 321-346.
- Muyldermans**, “Une nouvelle recension” = J. Muyldermans, “Une nouvelle recension du De octo spiritibus malitiae de S. Nil”, *Le Muséon, Revue d’Études Orientales*, 52 (Louvain, 1939), pp. 235-274.
- Muyldermans**, *Evagriana Syriaca* = J. Muyldermans, *Evagriana Syriaca*. Textes inédits du British Museum et de la Vaticane, Bibliothèque du Museon, 31 (Louvain: Publications Universitaires, 1952).
- Outtier**, “La plus ancienne traduction Géorgienne des apophtegmes” = B. Outtier, “La plus ancienne traduction Géorgienne des apophtegmes: Son étendue et son origine”, *მნავრთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, VII (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კვეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, 1980), გვ. 7-17.
- Peterson**, “Irrige Zuweisungen asketischer Texte” = E. Peterson, “Irrige Zuweisungen asketischer Texte”, *Zeitschrift für katholische Theologie*, Vol. 57, No. 2 (Austrian Province of the Society of Jesus, 1933), pp. 271-274.
- PG 31** = J. P. Migne, (ed.), *Patrologiae cursus completus, omnium SS. Patrum, Doctorum Scripturumque Ecclesiasticorum, Series Graeca*, 31 (Parisiis, 1857).
- PG 32** = J. P. Migne, (ed.), *Patrologiae cursus completus, omnium SS. Patrum, Doctorum Scripturumque Ecclesiasticorum, Series Graeca*, 32 (Parisiis, 1857).
- PG 34** = J. P. Migne, (ed.), *Patrologiae cursus completus, omnium SS. Patrum, Doctorum Scripturumque Ecclesiasticorum, Series Graeca*, 34 (Parisiis, 1860).
- PG 40** = J. P. Migne, (ed.), *Patrologiae cursus completus, omnium SS. Patrum, Doctorum Scripturumque Ecclesiasticorum, Series Graeca*, 40 (Parisiis, 1863).
- PG 79** = J. P. Migne, (ed.), *Patrologiae cursus completus, omnium SS. Patrum, Doctorum Scripturumque Ecclesiasticorum, Series Graeca*, 79 (Parisiis, 1865).
- PL 20** = J. P. Migne, (ed.), *Patrologiae cursus completus, omnium SS. Patrum, Doctorum Scripturumque Ecclesiasticorum, Series Latina*, 20 (Parisiis, 1845).
- Quasten**, *Patrology* = J. Quasten, *Patrology*, vol. III, The Golden Age of Greek Patristic Literature (Westminster, 1986).
- Samir**, “Évagre le Pontique” = S. Kh. Samir, “Évagre le Pontique dans la tradition arabo-copte”, *Actes du IV^e congrès copte*; Louvain-la-Neuve, 5-10 septembre 1988, ed. M. Rassart-Debergh and J. Ries (Louvain-la-Neuve: Institut Orientaliste, 1992), pp. 125-153.
- Sargisean (ed.)**, *Lives of the Holy Fathers* = N. Sargisean (ed.), *Lives of the Holy Fathers and Their Way of Life* (Կարգ սրբոց հայրանց եւ քաղաքակրթութիւնք სიցին ըստ կրկին թարգմանութեան նախնեաց), vol. 2 (Venice, 1855).
- Sargisean (ed.)**, *Evagrius Ponticus* = B. Sargisean (ed.), *The Life and Works of the Holy Father Evagrius Ponticus in an Armenian Version of the Fifth Century with Introduction and Notes* (in Armenian) (Venice, 1907).
- SC 170** = Sources chrétiennes 170, *Évagre le Pontique, Traité pratique ou le moine*, tome I, Introduction par Antoine Guillaumont et Claire Guillaumont (Paris, 1971).
- SC 171** = Sources chrétiennes 171, *Évagre le Pontique, Traité pratique ou le moine*, tome II, Édition

- critique du texte grec, Traduction, Commentaire et tables par Antoine Guillaumont et Claire Guillaumont (Paris, 1971).
- SC 495** = Sources Chrétiennes 495, Sozomène, Histoire ecclésiastique, Livres V-VI, Texte grec de l'édition J. Bidez – G.C. Hansen (GCS), Introduction et annotation par Guy Sabbah, Traduction par André-Jean Festugière, o.p., et Bernard Grillet (Paris, 2005).
- SC 505** = Sources Chrétiennes 505, Socrate de Constantinople, Histoire ecclésiastique, Livres IV-VI, Texte grec de l'édition G.C. Hansen (GCS), Traduction par Pierre Périchon, s.j. et Pierre Maraval, Introduction, notes et index par Pierre Maraval (Paris, 2006).
- SC 589** = Sources Chrétiennes 589, Evagre le Pontique, Chapitres sur la prière. Edition du texte grec, Introduction, traduction, Notes et Index par Paul Géhin (Paris, 2017).
- SC 591** = Sources Chrétiennes 591, Evagre le Pontique, A Euloge; Les vices opposés aux vertus. Introduction, Texte critique, Traduction et Notes par Charles-Antoine Fogielman (Paris, 2017).
- Schenke**, “Ein koptischer Evagrius” = H.-M. Schenke, “Ein koptischer Evagrius”, *Graeco-Coptica: Griechen und Kopten im byzantinischen Ägypten, Wissenschaftliche Beiträge der Martin-Luther-Universität*, P. Nagel (ed.) (Halle-Wittenberg, 1984), pp. 219-230.
- Schenke**, “Das Berliner Evagrius-Ostrakon” = H.-M. Schenke, “Das Berliner Evagrius-Ostrakon (P. Berol. 14 700)”, *Zeitschrift für Ägyptische Sprache und Altertumskunde*, 116 (Berlin, 1989), pp. 90-107.
- Sinkewicz**, *Evagrius of Pontus = Evagrius of Pontus*, The Greek Ascetic Corpus, Translation, Introduction and Commentary by Robert E. Sinkewicz (Oxford, 2003).
- Spies**, “Die äthiopische Überlieferung” = O. Spies, “Die äthiopische Überlieferung der Abhandlung des Evagrius περί τῶν ὀκτῶν λογισμῶν”, *Oriens Christianus*, 3rd ser., 7 (Leipzig, 1932), pp. 203-228.
- Suciu**, “The Coptic Versions” = A. Suciu, “The Coptic Versions of De ascetica disciplina attributed to Basil of Caesarea (CPG 2890), With an Appendix Containing the Armenian Version”, *Revue des études byzantines*, 75 (Paris, 2017), pp. 65-100.
- Епифанович**, Материалы = С. Л. Епифанович, *Материалы к изучению жизни и творений преподобного Максима Исповедника* (Киев, 1917).

კორნელი კეკელიძის სახელობის
 საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
 lasha_tkebuchava@mail.ru

**OLD GEORGIAN (PRE-ATHONITE) TRANSLATIONS OF
THE WORKS OF EVAGRIUS PONTICUS AND AMONG
THEM ONE UNKNOWN ADMONITION “DE VANA GLORIA”**

SUMMARY

This essay examines the ancient Georgian translations of the works of Evagrius Ponticus from the pre-Athonite period (5th to the 10th centuries). The manuscript Sin. georg. 35, copied at the Monastery of St. Sabas in 907, is the sole surviving codex to preserve Evagrius’s writings under his original name. This manuscript contains fragments of translations from seven of Evagrius’s works: (1) *Sententiae ad monachos* (CPG 2435), (2) *Ad juniores monachos instructio* (PG 79, col. 532 D 9 – 533 B 3), (3) *De octo spiritibus malitiae* (CPG 2451), (4) *Practicus* (CPG 2430), (5) *Prologue to Tractatus ad Eulogium* (CPG 2447), (6) *De vitiis quae opposita sunt virtutibus* (CPG 2448), and (7) an unidentified admonition, *De vana gloria*. Notably, the source of this last work has not been found in Evagrius’s Greek corpus and may survive only through the Georgian translation.

Following the 6th century, Evagrius’s works were often published in Greek under the name Nilus of Sinai, a practice that naturally extended to later translations. For instance, the Georgian version of *De oratione* (CPG 2452)—which includes 48 of the original 153 exhortations—appears in the 10th-century ascetic collection NCM H-622, attributed to Nilus. The unidentified work *De vana gloria* also appears anonymously in this manuscript, alongside the sixth admonition from *Practicus*. It appears that the scribe-compilers of these manuscripts intentionally omitted the name of the anathematized Evagrius. Another fragment of the same anonymous text was found in an 11th-century patristic collection, Ivir. georg. 17. All three manuscripts have been utilized in the publication of this text, with textual variants noted in the footnotes.

Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts
lasha_tkebuchava@mail.ru

Lasha Tkebuchava